



ღვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორი საქართველოში მოკლე მიმოხილვა

საქართველოში მეღვინეობას 8,000 წლიანი ისტორია აქვს და ვაზის 500-ზე მეტი ჯიშია გავრცელებული. ქართული კომპანიები ასევე აწარმოებენ ბრენდის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბრენდის ისტორია მხოლოდ მე-19 საუკუნიდან იწყება, საქართველო უკვე ამ პროდუქტის მე-10 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. 2018 წელს საქართველოში 245,000 ტონა ყურძენი გადამუშავდა 300-ზე მეტი მეღვინეობის კომპანიის მიერ, რაც ქვეყნის მცირე ადგილობრივი ბაზრის გათვალისწინებით საკმაოდ დიდი მოცულობაა. შესაბამისად, საქართველოს ღვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგარეო ბაზრებზე და შემოსავლების დაახლოებით 85%-ს ექსპორტიდან ღებულობს.

ღვინისა და სპირტიანი სასმელების ბიზნესი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სექტორია. 2017 წელს სექტორის წმინდა მოგების მარჟა 26.0%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანი ბიზნეს სექტორის 8.4%-იან მაჩვენებელს. სექტორის შემოსავლები თითქმის გაორმაგდა 2013-18 წლებში და 2018 წელს 867.9 მილიონი ლარი შეადგინა. შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო საგარეო მოთხოვნაა, რადგან ადგილობრივი გაყიდვები ბოლო წლებში შემცირებულია. ღვინო საქართველოს მე-4, ხოლო ბრენდი მე-8 უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტია და მათი წილი, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 5.9% და 3.2%-ია. 2013-18 წლებში საქართველოდან განხორციელებული ღვინისა და ბრენდის ექსპორტი საშუალოდ წლიურად 6.0%-ით გაიზარდა. 2018 წელს ამ პროდუქტების ექსპორტიდან საქართველომ 305.3 მლნ აშშ დოლარის შემოსავლები მიიღო, რაც 65 მლნ ლიტრი ღვინის და 32 მლნ ლიტრი ბრენდის გაყიდვების შედეგია. ჩვენი გათვლებით, 2019 წელი სექტორისთვის, სავარაუდოდ, კარგი წელი იქნება და შემოსავლები დაახლოებით 10%-ით გაიზარდება. ეს მოლოდინები 2018 წელს ყურძნის რეკორდული მოსავლიდან და ექსპორტის ზრდის ტენდენციებიდან გამომდინარეობს.

რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებულმა ემბარგომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქართული ღვინის ხარისხი და ხელი შეუწყო ბაზრების დივერსიფიკაციას. 2006 წლამდე რუსეთი ქართული ღვინის თითქმის ერთადერთი მომხმარებელი იყო, ღვინის მთლიან ექსპორტში 92%-იანი წილით. ემბარგომ მწარმოებლებს ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისკენ უბიძგა და შედეგად ღვინის ექსპორტმა ფეხი მოიკიდა ევროკავშირის, აზიისა და სხვა ბაზრებზე. ამჟამად, ქართული ღვინის ექსპორტი 53 ქვეყანაში ხორციელდება.

რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება კვლავ დღის წესრიგშია. 2013 წლიდან რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შედეგად ამ ბაზარზე დამოკიდებულება გაიზარდა. ამჟამად, რუსეთს მთლიანი ღვინის ექსპორტში დაახლოებით 60% უკავია. დამოკიდებულების სწრაფი ზრდა რუსი მომხმარებლების მიერ ქართული ღვინის ცნობადობისა და ძველი სავაჭრო კავშირების აღდგენის შედეგია. ამ ეტაპზე რუსული სავაჭრო ემბარგოს განახლების თემა დახურულია, თუმცა ამ საკითხმა ბევრი აფორიაქა და შემდგომი დივერსიფიკაციის საჭიროებაზე ბევრი კომპანია და ექსპერტი საუბრობს. სხვა ბაზრებთან შედარებით რუსეთში ქართული ღვინის დაბალი ფასი კიდევ ერთი არგუმენტია იმისთვის, რომ გაძლიერდეს დივერსიფიკაციისკენ მიმართული ღონისძიებები. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგმა ქართულმა კომპანიებმა რუსულ ბაზარზე ღვინის გაყიდვების შედარებით მარტივი გზა არ აირჩიეს და 2013 წლიდან არატრადიციულ ბაზრებზე გაფართოება გააგრძელეს.



2013-18 წლებში ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი არატრადიციულ ბაზრებზე გასამზავდა, რაც საკმაოდ კარგი მიღწევაა ამ ბაზრებზე ქართული ღვინის დაბალი ცნობადობის პირობებში. სხვადასხვა გრანტებისა და სუბსიდირებული სესხების ხელმისაწვდომობის შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე ზომის ღვინის კომპანიების რაოდენობა, რომელთაც უჭირთ ინვესტირება ბრენდის განვითარებასა და გასაღების ქსელებში. იმის გათვალისწინებით, რომ აზიის ბაზრებზე ღვინის მოხმარება საკმაოდ მზარდია, ბრენდის პოპულარიზაციასა და სადისტრიბუციო ქსელების გაფართოებაზე კონცენტრირება ამ ბაზრების შემდგომი ათვისების შესაძლებლობას მოგვცემს. შესაბამისად, მომდევნო 5 წელიწადში აზიის მიმართულებით ქართული ღვინის ექსპორტი შესაძლებელია 120 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდოს, რაც აღემატება რუსეთში ღვინის ექსპორტიდან მიღებულ ამჟამინდელ შემოსავლებს.

ღვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორი ერთიან სტრატეგიას საჭიროებს. ექსპორტის დივერსიფიცირების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის გამოკითხვა ჩავატარეთ ბაზრის მოთამაშებთან. გამოკითხვამ აჩვენა, რომ კომპანიებისთვის ყველაზე პრობლემატურ საკითხებს წარმოადგენს თანამშრომლობის პლატფორმის/კლასტერების არარსებობა, ერთიანი სტრატეგიის არქონა საექსპორტო ბაზრებთან მიმართებაში და ჯერ კიდევ სუსტი კორპორატიული მმართველობა. სექტორის კონსოლიდაციისა და მასშტაბის ეკონომიის შემაფერხებელ ფაქტორებად კვლავ სახელდება დაბალტექნოლოგიური საწარმოო მეთოდების გამოყენება, ყურძნის წარმოების მაღალი თვითღირებულება, დაბალი მოსავლიანობა, ფასის და ხარისხის არათანმიმდევრულობა და ფრაგმენტული საწარმოო პროცესები.

სრული კვლევა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ჩვენს ვებ-გვერდზე www.gtresearch.ge



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge